

შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ და სს „სილქნეტს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირების თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას ერთობლივი განცხადებით მიმართეს შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ და სს „სილქნეტსა“ (განაცხადის კომისიაში რეგისტრაციის №შ-7/7381-15, 02.10.2015) შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის (2200მჰც-2350მჰც სიხშირული დიაპაზონი) ნაწილობრივ (2300მჰც-2350მჰცსიხშირული დიაპაზონი) სს „სილქნეტსე“ გადაპირებასთან დაკავშირებით და წარმოადგინეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ კომისიის 2008 წლის 13 ივნისის N334/5 და 2008 წლის 14 ივლისის N407/2 გადაწყვეტილებებით ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F65 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2200 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე;

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

გ) უზრუნველყოს შპს „პირველმა სტერეოსა“-მ მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად“.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შერწყმის ან წილის, აქციების ან საოპერაციო აქტივის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე, ხოლო 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3⁴⁸ პუნქტის შესაბამისად, საოპერაციო აქტივი არის არსებითი მნიშვნელობის მატერიალური და არამატერიალური აქტივი, რომლითაც ავტორიზებული პირი ახორციელებს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფას ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი, ადგილობრივი დაშვების ქსელი, მაგისტრალი, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო საშუალებები და ნაგებობები, საკანალიზაციო არხები, ჭები, ანძები, ბომბები, ასევე ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზია, რაც არსებითი მნიშვნელობისაა ავტორიზებული პირის მიერ მნიშვნელოვანი საბაზრო უპირატესობების მოპოვების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2014 წლის 16 ოქტომბრის N581/11 გადაწყვეტილებით, წინასწარი თანხმობა მიეცა შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ კუთვნილი საოპერაციო აქტივის, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის (რადიოსიხშირული ზოლი 2200მჰც-დან 2350მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში) ნაწილობრივ (რადიოსიხშირული ზოლი 2300მჰც-დან 2350მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში) სს „სილქნეტსი“ მიერ შეძენაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება გადასცეს ნებისმიერ პირს, მთლიანად ან ნაწილობრივ, პირდაპირი გადაპირების წესით, აუქციონის გამართვის გარეშე, რისთვისაც პირდაპირი გადაპირების შესახებ დებს ხელშეკრულებას. კომისია გადაპირების თაობაზე ერთობლივი განცხადების საფუძველზე იწყებს ლიცენზიის გადაპირებასთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს შეიძლება შეეზღუდოს ლიცენზიის გადაპირება, თუ:

ა) გადაპირების მსურველ პირს კომისიის წინაშე ერიცხება რეგულირების საფასურის დავალიანება ან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დავალიანება;

ბ) პირდაპირი გადაპირების წესით ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემისას პირი დამოუკიდებლად ან/და მასთან ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ)

პირებთან ერთად ხდება რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ერთობლიობის გადაპირებასთან დაკავშირებით დაწყებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალურ ოდენობაზე მეტის მფლობელი;

გ) ლიცენზიით განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით ბოლო მომხმარებელს მიეწოდება სატელეკომუნიკაციო მომსახურება და ლიცენზიის მიმღების მიერ არ არის დადასტურებული მისთვის მომსახურების გაწევის ვალდებულება, ბოლო მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2015 წლის 24 დეკემბრის 809/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ და სს „სილქნეტს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირების თაობაზე. ზეპირი მოსმენის სხდომა დაინიშნა 2016 წლის 26 იანვარს 15:00 საათზე. 2015 წლის 24 დეკემბრის 809/23 გადაწყვეტილების თანახმად კომისიის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს დაევალა:

ა) აღნიშნული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული კვლევის ჩატარება და კომისიისთვის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა;

ბ) დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვლევისა და ანალიზის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში კომისიისთვის შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა.

კომისიის 2016 წლის 26 იანვრის სხდომას ესწრებოდა შპს „ტელეკომპანია I სტერეოსა“ დირექტორი ზვიად ამირიძე და სს „სილქნეტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი მარი ქოქიაშვილი.

კომისიის სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა კომისიის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნა (სამსახურებრივი ბარათი №10/755-16, 26.01.2016). დასკვნის თანახმად:

1. კონკურენციის პოლიტიკა

მობილურ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ქსელის მფლობელი ოპერატორებისათვის სიხშირული რესურსის ფლობის მაქსიმალური ოდენობის დაწესება ბაზრის შესაბამის სეგმენტზე წინასწარი რეგულაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს. OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნებში ბაზარზე ეფექტური კონკურენციის მისაღწევად სიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დაწესებასთან ერთად კონკურენციის სხვადასხვა ხელშემწყობ ღონისძიებებს მიმართავენ. მაგალითად დიდ ბრიტანეთში დამატებით საჭირო სიხშირული ლიცენზიის გაცემით უზრუნველყვეს ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ეფექტური კონკურენციის განვითარება, კერძოდ ბაზარზე ახალი შემოსვლისათვის უზრუნველყვეს სიხშირული რესურსის გამოყოფა. ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმიზაცია, რომელიც მიიღწევა ა) ბაზარზე ვირტუალური ოპერატორების შესვლის ხელშეწყობით ბ) ბაზარზე დამატებითი ახალი ოპერატორისთვის სიხშირული რესურსის რეზერვირებით და გ) ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ლიცენზიის მფლობელი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორისათვის სხვადასხვა სპეციფიკური ვალდებულებების დაწესებით. ეფექტიანი კონკურენციის მართვის და შენარჩუნების პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ჰარმონიზებულ სიხშირების რესურსის მართლზომიერ განაწილებას.

OECD ქვეყნებში მობილური მომსახურების ბაზარზე სულ მცირე სამი მობილური ქსელის ოპერატორია, მათ შორის ზოგიერთ ქვეყანაში ოთხი ან ხუთი ქსელის მოქმედი ოპერატორი, რომლებიც ეროვნულ დონეზე ან იმავე რეგიონში (მაგ. ევრო კავშირში) საქმიანობენ.

2014 წლის ბოლოს მონაცემების მიხედვით OECD-ის 17 ქვეყანაში სამი მობილური ქსელის ოპერატორი საქმიანობდა, 14 -ში ოთხი მობილური ქსელის ოპერატორი და სამ ქვეყანაში ხუთი ან ხუთზე მეტი.

იმ ქვეყნებში სადაც სამი მობილური ქსელის ოპერატორია ბაზარზე დამატებით რამდენიმე ვირტუალური ქსელის ოპერატორი საქმიანობს. ამ უკანასკნელის საშუალებით მიიღწევა ბაზარზე ეფექტური კონკურენციის და შესაბამისად კონცენტრაციის დონის შენარჩუნება.

2. ბაზარზე ქსელის მფლობელი ოპერატორების რაოდენობა და HHI¹ ინდექსი

¹ The Herfindahl-Hirschman Index (HHI) is equal to the sum of the squared market shares of the

კონცენტრაციის საერთო მაჩვენებელი ბაზარზე კონკურენციის განმსაზღვრელია. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონცენტრაციის განსაზღვრის მიზნებისათვის ე.წ. "ჰერფინდალ-ჰირშმანის" ინდექსი (HHI) გამოიყენება.

ბაზრის შესაბამისი სეგმენტი ზომიერად კონცენტრირებულია, როდესაც HHI ინდექსის გაანგარიშებული რიცხვითი მნიშვნელობა მოქცეულია 1500-დან და 2500-მდე საზღვრებში. თუ HHI ინდექსის რიცხვითი მნიშვნელობა 2500 ზე მეტია, მაშინ ბაზარი მაღალკონცენტრირებულია. აღნიშნული პირობის თანახმად ბაზარზე ზომიერი კონცენტრაციის დროს HHI ინდექსი შესაძლოა იყოს ა) მინიმალური, (HHI = 2000 რიცხვითი მნიშვნელობა) ბაზარზე ხუთი ოპერატორის შემთხვევაში და მაქსიმალური (HHI = 2500 რიცხვითი მნიშვნელობა) ბაზარზე ოთხი ოპერატორის შემთხვევაში.

როგორც სიხშირული რესურსის ასიმეტრიულად ფლობა არ არის სიხშირული რესურსის განაწილების სწორი მიდგომა, ასევე ბაზარზე კონკურენცია არც მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც ქსელის მფლობელი ყველა ოპერატორი თანაბრად ან დაახლოებით თანაბრად ფლობს სიხშირულ რესურსს.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად - „რამდენიმე ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე:

ა) ორი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

ბ) სამი ავტორიზებული პირის ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 80 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 15 პროცენტისა“ .

ზემოაღნიშნულის თანახმად ბაზარზე სადაც 3 ან მეტი ავტორიზებული პირი ეწევა საქმიანობას ოპერატორი შესაძლოა ფლობდეს მნიშვნელოვან საბაზრო ძალაუფლებას თუ მას გააჩნია საბაზრო წილის არანაკლებ 15%. რადგან საბაზრო წილის ეს მინიმალური ოდენობა (15%) ავტორიზებული პირის საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელია, ამიტომ მიიჩნევა, რომ ოპერატორს ასეთი საბაზრო წილის ფლობისას მიღწეული აქვს მამტაბის და მოცულობის ეფექტურობისათვის და შესაბამისად შესაძლოა განხილული იქნას, რომ ასეთი ოპერატორი გარკვეულწილად დანახარჯების გაწევის თვალსაზრისით ეფექტურია.

3. კავშირი სიხშირული რესურსის HHI ინდექსსა და საბაზრო წილის HHI ინდექს შორის

სიხშირული რესურსის შესაბამისი მოცულობა მობილური ქსელის ოპერატორის მიერ მომხმარებლებისათვის მომსახურების მიწოდების აუცილებელ რესურს/საშუალებას წარმოადგენს. თუ რომელიმე ოპერატორის სიხშირული რესურსის მოცულობა მცირეა შესაბამისად მის მიერ მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით აბონენტების რაოდენობაც შეზღუდული იქნება. ასევე თუ ოპერატორი სიხშირული რესურსს ფლობს კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის ის მხოლოდ ამ კონკრეტულ უბანზე შეძლებს მომსახურების მიწოდებას, ხოლო იმ უბანზე სადაც მას სიხშირულ რესურსი არ გააჩნია მომსახურებას მომხმარებლებს ვერ მიაწოდებს. აღნიშნულიდან გამომდინარე სიხშირულ რესურსს აბონენტების რაოდენობაზე პირდაპირი ზეგავლენა გააჩნია. საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ინდოეთში რადიოსიხშირული რესურსის განაწილების განსაკუთრებული მიდგომა არსებობს, კერძოდ სიხშირული რესურსის განაწილება აბონენტების რაოდენობის პროპორციულად ხორციელდება.

ცხრილი N 1-ში მოცემულია ქვეყნების მიხედვით ბაზრის და სიხშირული რესურსის კონცენტრაციის HHI ინდექსები

ცხრილი N1

individual competitors. The HHI is a common measure of market concentration used by antitrust authorities, including the Canadian Competition Bureau and the U.S. DOJ, Unconcentrated Markets: HHI below 1500 • Moderately Concentrated Markets: HHI between 1500 and 2500 • Highly Concentrated Markets: HHI above 2500

Country	Market HHI Value	Spectrum HHI value
China	4952	3344
New Zealand	3883	2558
Turkey	3839	3365
Japan	3653	2702
Chile	3608	2061
Australia	3514	3806
Finland	3346	3327
Sweden	2952	2040
United Kingdom	2610	2822
United States	2540	2181
India	1360	1900

შენიშვნა: ბაზრის წილი გაანგარიშებულია აბონენტების რაოდენობის მიხედვით.

ცხრილი N 1-ში მოცემული მონაცემების მიხედვით ბაზრის და სიხშირული რესურსის კონცენტრაციის HHI ინდექსებს შორის კორელაცია არსებობს.

ადგილობრივი მობილური ქსელის ოპერატორების მიერ საბაზრო წილის და შესაბამისი სიხშირული რესურსების ფლობის პროცენტული ხვედრითი წილები და HHI ინდექსები მოცემულია ცხრილი N 2-ში.

ცხრილი N 2

ოპერატორი	სიხშირული დიაპაზონი	სიხშირული რესურსი	სიხშირული რესურსი %	აბონენტების რაოდენობა	აბონენტების რაოდენობა
მაგთიკომი	900/1800/2100	116,2	41%	2 219 937	39%
ჯეოსელი	900/1800/2100	113,4	40%	2044248	36%
მობიტელი	800/900/1800	50,98	18%	1 470 888	26%
სულ		280,58	100%	5 735 073	100%
HHI ინდექსი			3 679		3 427

4. სიხშირული რესურსის ფლობის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობების გაანგარიშება


საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ბაზრებზე არსებული კონკურენცია მომხმარებელს უკეთეს მომსახურებას, ხარისხს და ფასებს სთავაზობს, როდესაც ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ოთხი და მეტი მობილური ქსელის ოპერატორი საქმიანობს.

ამ დოკუმენტის მე-2 და მე-3 ნაწილებში აღწერილი მსჯელობების საფუძველზე გაანგარიშებაში გაკეთდა იმის დაშვება, რომ ბაზარზე ქსელის მფლობელი ოპერატორი უნდა ფლობდეს ბაზრის და ასევე სიხშირული რესურსის ხვედრითი წილის სულ მცირე 15 %-ს.

გრაფიკი N3 -ზე მოცემულია ბაზარზე კონცენტრაციის HHI² ინდექსის მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით

გრაფიკი N3

HHI by subscriber



გრაფიკი N3-ის მიხედვით ბაზრის შესაბამის სეგმენტზე კონცენტრაციის HHI ინდექსის უდიდესი რიცხვითი მნიშვნელობა დაახლოებით 4000-ის ტოლია. ბაზარზე 3 და 4 ოპერატორის და ასევე მაქსიმალური და მინიმალური წილების ფლობის შემთხვევაში HHI ინდექსს შემდეგი რიცხვითი მნიშვნელობები გააჩნია:

ა) სამი ოპერატორის შემთხვევაში

ოპერატორები	I	II	III	სულ
საბაზრო წილი %	70	15	15	100
HHI	4 900	225	225	5 350
ოპერატორები	I	II	III	სულ
საბაზრო წილი %	65	20	15	100
HHI	4 225	400	225	4 850
ოპერატორები	I	II	III	სულ
საბაზრო წილი %	60	20	20	100
HHI	3 600	400	400	4 400
ოპერატორები	I	II	III	სულ
საბაზრო წილი %	60	25	15	100
HHI	3 600	625	225	4 450
ოპერატორები	I	II	III	სულ
საბაზრო წილი %	55	25	20	100
HHI	3 025	625	400	4 050

შენიშვნა: თუ ბაზარზე 3 ოპერატორი საქმიანობს და ბაზარზე უმცირესი საბაზრო წილი 15 %-ია, მაშინ უმაღლესი საბაზრო წილი შესაძლოა, რომ 70 % იყოს ($70\% = 100\% - 2 \cdot 15\%$).

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე სამი ოპერატორის არსებობის შემთხვევაში უდიდესი HHI ინდექსის რიცხვითი მნიშვნელობა (4000) მიღწევადია, მაშინ როდესაც ბაზარზე ერთი ავტორიზებული პირი არ ფლობს ბაზრის წილის/რესურსის 55 %-ზე მეტს.

ბ) ოთხი ოპერატორის შემთხვევაში

ოპერატორები	I	II	III	IV	სულ
საბაზრო წილი %	55	15	15	15	100
HHI	3 025	225	225	225	3 700

ოპერატორები	I	II	III	IV	სულ
საბაზრო წილი %	50	20	15	15	100
HHI	2 500	400	225	225	3 350

ოპერატორები	I	II	III	IV	სულ
საბაზრო წილი %	45	25	15	15	100
HHI	2 025	625	225	225	3 100

შენიშვნა: თუ ბაზარზე 4 ოპერატორი საქმიანობს და ბაზარზე უმცირესი საბაზრო წილი 15 %-ია, მაშინ უმაღლესი საბაზრო წილი შესაძლოა, რომ იყოს 55 % ($55\% = 100\% - 3 \cdot 15\%$).

ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ოთხი ოპერატორის არსებობის შემთხვევაში უდიდესი HHI ინდექსის რიცხვითი მნიშვნელობა (4000) მიღწევადია, მაშინ როდესაც ბაზარზე ერთი ავტორიზებული პირი არ ფლობს ბაზრის წილის/რესურსის 55 %-ზე მეტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ბაზარზე, როგორც 3 ასევე 4 ოპერატორის არსებობის და მაქსიმალური და მინიმალური წილების ფლობის შემთხვევაში HHI ინდექსის უდიდესი რიცხვითი მნიშვნელობა მიღწევადია მაშინ, როდესაც ბაზარზე ერთი ავტორიზებული პირის მფლობელობაში არ არის ბაზრის წილის/რესურსის 55 %-ზე მეტი.

5. რადიოსიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენის სხვა კრიტერიუმები

მხოლოდ კონცენტრაციის მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს ქსელის მფლობელი ოპერატორებისათვის სიხშირული რესურსის ფლობის მაქსიმალური ოდენობის დაწესების განმსაზღვრელი. აღნიშნულ მაჩვენებელთან ერთად უნდა იქნას შესწავლილი შემდეგი საკითხები:

- სიხშირეების საერთაშორისო ჰარმონიზაცია;
- ოპერატორების არსებულ ქსელებში სიხშირეების ტექნიკური და ან თეორიული დანერგვის შესაძლებლობები;
- შესაბამისი სიხშირეების სტანდარტულ მოწყობილობებში (ფართო გაყიდვაში არსებული მობილურ ტელეფონები, პლანშეტები და ა. შ.) ინტეგრირებულობა;
- ტრაფიკის ზრდის დაკმაყოფილების მიზნებისათვის დამატებითი სიხშირული რესურსების გამოყოფის სამომავლო გეგმები;
- ურთიერთშენაცვლებადი მომსახურებები და მათი გეოგრაფიული საზღვრები;
- ტექნოლოგიების განვითარება.

კრიტერიუმების შეფასება

კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის 2016 წლის 14 იანვრის N 20/265 სამსახურებრივი ბარათის თანახმად ირკვევა:

ა) 2300-2400 მგჰც და 3400-3600 მგჰც სიხშირულ ზოლებში შესაძლებელია მობილური/ფიქსირებული სატელეკომუნიკაციო ქსელების (MFCN) დანერგვა, რომელთა ტექნიკური პარამეტრები განსაზღვრულია CEPT/ECC-ის (ევროპის სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ადმინისტრაციების კონფერენცია/ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტი) გადაწყვეტილებებით (ECC-ის გადაწყვეტილებები 14(02) და 11(06)). ამ ქსელების საშუალებით შესაძლებელია მომხმარებლებისათვის LTE ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მობილური/ფიქსირებული ინტერნეტის მიწოდება;

ბ) საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობით მობილური ქსელის ოპერატორების მიერ LTE ქსელები/სისტემები ინერგება 1800 მგჰც და 800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონებში. თეორიულად შესაძლებელია ამ ქსელების შერწყმა (გადამტანის აგრეგაციის მეთოდით) 2300-2400 მგჰც და 3400-3600 მგჰც სიხშირეების ქსელებთან. ამავე დროს, როგორც ლიტერატურიდან არის ცნობილი (მაგალითისათვის, იხ. Ofcom-ის ანგარიშები), დღეისათვის ყველაზე ეფექტურად ითვლება და ძირითადად შესწავლილია შემდეგი ვარიანტები: 800 მგჰც-იანი ზოლის აგრეგაცია 2600 მგჰც-იან ზოლთან და 1800 მგჰც-იანი ზოლის აგრეგაცია 2600 მგჰც-იან ზოლთან. რაც შეეხება 2300-2400 მგჰც და 3400-3600 მგჰც სიხშირეების ერთმანეთთან აგრეგაციას, ასეთი ვარიანტი ჯერ თეორიულადაც არ არის განხილული;

დ) 2300-2400 მგჰც ზოლი ინტეგრირებულია Samsung-ისა და Iphone-ის ბოლო მოდელებში, კერძოდ მე-5 და მე-6 გამოშვებებში. რაც შეეხება 3400-3600 მგჰც ზოლს, ის ფართო გაყიდვაში არსებულ მობილურ მოწყობილობებში არ არის ინტეგრირებული;

ე) მომავალში მობილური ინტერნეტის მომსახურების ტრაფიკის მნიშვნელოვანი ზრდის დაკმაყოფილების მიზნებისათვის დამატებითი სიხშირული რესურსების გამოყოფა იგეგმება 24.25-86.00 გჰც დიაპაზონში. იხილეთ, მსოფლიო რადიოსაკომუნიკაციო კონფერენციის (WRC-15) რეზოლუცია Resolution COM6/20 და ITU-R რეკომენდაცია ITU-R M.2083-0. თუმცა, მანამდე ITU-R-ის შემსწავლელი ჯგუფის მიერ უნდა ჩატარდეს შესაბამისი კვლევები;

ვ) 2300-2400 მგჰც ზოლის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის მიერ გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.

დასკვნა: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სიხშირული რესურსის მაქსიმალური ოდენობის დადგენისას 2300მჰც - 2400მჰც სიხშირული ზოლი სხვა სიხშირულ ზოლებთან არ უნდა გაერთიანდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ტელეკომპანია I სტერეო“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიას ვადა მიმდინარე წლის 11 აგვისტოს ეწურება და 2300-2400 მგჰც ზოლის საერთაშორისო ჰარმონიზებასთან დაკავშირებით არ არის ევრო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამიტომ ამ ეტაპზე 2300მჰც - 2400მჰც სიხშირულ ზოლზე მაქსიმალური ოდენობის დადგენა არ არის მიზანშეწონილი.

6. №F65 ლიცენზიის გადაპირების საკითხის შესწავლა

შპს „ტელეკომპანია I სტერეო“ კომისიის 2008 წლის 13 ივნისის N334/5 და 2008 წლის 14 ივლისის N407/2 გადაწყვეტილებებით ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F65 ლიცენზიას შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2200 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში - ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის რაიონების ტერიტორიაზე.

ბ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

2300მჰც - 2400მჰც სიხშირული რესურსის დიაპაზონი სალიცენზიო პირობების თანახმად დაყოფილია სამ გეოგრაფიულ ზონად:

1. თბილისი;

2. ქუთაისი, სამტრედია, ვანი, ბაღდათი, ტყიბული, ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ცაგერი, ამბროლაური, მარტვილი, სენევი, აბაშა, თერჯოლა, ზესტაფონი, ხონი;

3. დანარჩენი საქართველო

1. თბილისი	2299-2350	2350-2382	2382-2400	შენიშვნა
შპს "სილქ LTE"		F66		სილქნეტის დროებით სარგებლობაში 05.05.2016
სს "სიქლნეტი"	F48			ვადა 05.05.2016 მდე
შპს „სტერეო +“			F37	ვადა 05.05.2016 მდე
სულ	50	32	18	

2. ქალაქები და მუნიციპალიტეტები*	2300-2350	2350-2382	2382-2400	შენიშვნა
შპს "სილქ LTE"		F64		სილქნეტის დროებით სარგებლობაში 11.08.2016
შპს "პირველი სტერეო"	F65			2016 წლის 11 აგვისტომდე;
სულ	50	32	18	

3. დანარჩენი საქართველო	2300-2350	2350-2382	2382-2400	შენიშვნა
შპს "სილქ LTE"		F68		სილქნეტის დროებით სარგებლობაში 18.01.2017
სს "სიქლნეტი"	F53		FREE	2017 წლის 18 იანვრამდე
სულ	50	32	18	

აღნიშულ სიხშირულ დიპაზონში 2300მჰც - 2400მჰც მომსახურების მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ სს „სილქნეტი“. კომპანია ე.წ ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით მომხმარებლებს აწოდებს ინტერნეტ მომსახურებას. კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით მომსახურების მიწოდების გეოგრაფიული საზღვრები არ დგინდება. 2015 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით აბონენტების რაოდენობა შეადგენდა 10 308-ს (ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 177 000 ლარი). სს „სილქნეტის“ აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სს „სილქნეტის“ და შპს „ვიტელ ჯორჯიას“ შერწყმის შედეგად. შპს „ვიტელ ჯორჯია“ აღნიშნულ აბონენტებს ინტერნეტ მომსახურებას WiMax ტექნოლოგიის საშუალებით აწვდიდა.

7. ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეები

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3³⁴ პუნქტის შესაბამისად, ურთიერთშენაცვლებადი მომსახურების სახეებია სახის, ხარისხის, საფასურის და სხვა მახასიათებლების მიხედვით ფუნქციონალურად ერთგვაროვანი მომსახურების სახეები, რომლებიც ერთობლიობაში იმდენად მსგავსია, რომ მომხმარებელი ცვლის ან მზადაა შეცვალოს ერთი მომსახურება მეორეთი.

2300-2400 მგჰც ზოლი ინტეგრირებულია Samsung-ისა და Iphone-ის ბოლო მოდელებში, კერძოდ მე-5 და მე-6 გამოშვებებში. რაც შეეხება 3400-3600 მგჰც ზოლს, ის ფართო გაყიდვაში არსებულ მობილურ მოწყობილობებში არ არის ინტეგრირებული შესაბამისად სს „სილქნეტის“ მიერ 2300მჰც - 2400მჰც სიხშირული ზოლის საშუალებით ფიქსირებული ინტერნეტის მომსახურების მიწოდება არ შეიძლება ჩაითვალოს მობილური ინტერნეტის ურთიერთშენაცვლებად მომსახურებად. აღნიშნული მომსახურება არც ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის მიწოდების მომსახურების შენაცვლებადი მომსახურებაა, ამ მომსახურების გეოგრაფიული საზღვრების და მომსახურების აბონენტებისათვის მიწოდების პირობების გამო; აღნიშნული მომსახურების სამიზნეს ბაზრის კონკრეტული გეოგრაფიული მისამართები წარმოადგენს, კერძოდ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ის უბნები, სადაც ბოლო მომხმარებლებთან სადენიანი შეერთებები არ არსებობს ან ასეთი შეერთებები არ იძლევა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მიწოდების საშუალებას; აღნიშნული მომსახურება ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის მიწოდების პირობებითაც განსხვავდება, კერძოდ ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის სხვადასხვა ტექნოლოგიების მიწოდებისას მომსახურებაზე ფასის განმსაზღვრელია მიერთების სიჩქარე, ხოლო სს „სილქნეტის“ მიერ ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით ინტერნეტის აბონენტებისათვის მიწოდების დროს მოხმარებული ინტერნეტის მოცულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სს „სილქნეტის“ მიერ ფიქსირებული LTE ტექნოლოგიით ინტერნეტის აბონენტებისათვის მიწოდების მომსახურება არ არის არც მობილური ინტერნეტის და არც ფიქსირებული მისამართიდან ინტერნეტის მომსახურებების ურთიერთშენაცვლებადი მომსახურება.

8. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციური შემსვლელები

სიხშირული რესურსის ეფექტიანი გადანიწილების ან/და დამატებითი სიხშირული რესურსის გამოყოფის შემთხვევაში აღნიშნულ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე პოტენციურ შემსვლელებად შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მობილურ ბაზარზე დღეს არსებული ოპერატორები ასევე ფიქსირებული ინტერნეტის საცალო ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაფლების მქონე ავტორიზებული პირები.

9. კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნა:

დეპარტამენტს ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია 2300მჰც - 2400მჰც სიხშირულ ზოლზე მაქსიმალური ოდენობის დადგენა, დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს, რომ კონკურენტუნარიანი გარემოს განვითარების მიზნით ლიცენზიის ვადის განახლებამდე შესწავლილ უნდა იქნას აღნიშნული სიხშირული რესურსის დანიშნულების განსაზღვრის (მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით) და მისი ოპტიმალური და ეფექტიანი გამოყენების საკითხები.

კომისია სხდომაზე წარმოდგენილი კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის დასკვნის (სამსახურებრივი ბარათი №10/755-16, 26.01.2016) საფუძველზე აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ და სს „სილქნეტს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირების დამაბრკოლებელი გარემოება, შესაბამისად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზეპირი მოსმენის სხდომაზევე მიიღოს გადაწყვეტილება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირების თაობაზე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ სხდომაზე შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ დირექტორმა ზვიად ამირიძემ დაადასტურა, რომ გადაპირების შემდგომ იმ აბონენტებს, რომლებსაც იგი ამჟამად აწვდის ინტერნეტ მომსახურებას მომავალშიც გაუწევს მომსახურებას, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიით დარჩენილი სიხშირული რესურსით (2200მჰც-2300მჰც სიხშირული დიაპაზონი). სხდომაზე კომისიის საფინანსო დეპარტამენტმა დაადასტურა, რომ შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ არ ერიცხება რეგულირების საფასურის ან ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის დავალიანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიამ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით ოთხი ხმა ერთის წინააღმდეგ (მომხრე კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე და კომისიის წევრები კახი ბექაური, გიორგი ფრუიძე და მერაბ ქათამაძე, წინააღმდეგი კომისიის წევრი ელისო ასანიძე)

გადაწყვეტა:

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიას გამოეყოს 2300მჰც-დან 2350მჰც-მდე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება ცალკე ლიცენზიად, მიენიჭოს №F98 და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2300 მჰც-დან - 2350 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში;

ბ) გეოგრაფიული არეალი: ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

დ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

2. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F98 ლიცენზიის მფლობელად განისაზღვროს სს "სილქნეტი";

3. შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიას განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) რადიოსიხშირული ზოლი: 2200 მჰც-დან - 2300 მჰც-მდე სიხშირულ დიაპაზონში;

ბ) გეოგრაფიული არეალი: ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის, ტყიბულის, ხარაგაულის, საჩხერის, ჭიათურის, ცაგერის, ამბროლაურის, მარტვილის, სენაკის, აბაშის, თერჯოლის, ზესტაფონის და ხონის მუნიციპალიტეტები;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2016 წლის 11 აგვისტომდე;

დ) უზრუნველყოს ლიცენზიის მფლობელმა წინამდებარე გადაწყვეტილების მესამე პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული ზოლის გამოყენება კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად.

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს:

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ.ლორთქიფანიძე);

ბ) სალიცენზიო მოწოდების გაცემის უზრუნველყოფა (ნ. ლორთქიფანიძე);

გ) ლიცენზიების ნაწილობრივი გადაპირების თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქადეიშვილი);

დ) აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს "სილქნეტისთვის" და შპს „ტელეკომპანია I სტერეოსთვის“ გაგზავნა (ნ. ჯავახიძე);

5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის სს "სილქნეტისთვის" და შპს „ტელეკომპანია I სტერეოსთვის“ ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) ერთი თვის ვადაში;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის წევრ ელისო ასანიძის განსხვავებული აზრი: ელისო ასანიძემ განაცხადა, რომ არ ეთანხმება რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზიის ნაწილობრივ გადაპირებას სს "სილქნეტზე". მან აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგი იყო აღნიშნულ საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების. მიაჩნია, რომ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F65 ლიცენზია ექვემდებარება გაუქმებას.

კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე
ელისო ასანიძე
კახი ბექაური
გიორგი ფრუიძე
მერაბ ქათამაძე